

საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულ და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასო ითვლება. დაუბეჭდავად საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დღის 9-3 საათამდე, გარდა უწყვეტ დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირდაპირ მოლაპარაკება შეიძლება ამვე დროს.

მისამართი: თბილისი, სსახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარავასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეფ. ადრესი: თბილისი, „საქართველო“

კონტორა

„საქართველო“ ზელების მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ეღირება—25 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 10 მანეთი. ცალკე № 50 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პერიოდის პირველ გვერდზე 1 მან. უკანასკნელზე—80 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვლო განცხადება თითოეული 20 მანეთი. მისამართის გამოცხადება ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საქართველოს განცხადებები უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1/2 საათის კონტორაში. კონტორა ღიაა დღის 10 (ახ. დრ.) საათიდან 3 საათამდე.

სალაშონი რედაქციისა და კონტორისა 15-73

უკანასკნელი ცნობები

იმპერატორი კარლოსი ჰუნგრეთის ტახტიდან გადადგა.

ფრანგული პრესის ცნობით გერმანულ ფლოტის დემობილიზაცია ხდება.

გერმანიის აღმირალი ტრიპტი შევიცარიაში გაიქცა.

ახალ ცნობების თანახმად რევოლუციური მოძრაობა იზრდება ჰოლანდიაში, ბელგიაში, დანია და შვეიცარიაში.

შეთანხმების სახელმწიფოთა ფლოტი სტამბოლთან იმყოფება.

უკრაინაში ამხანგებისთვის ემზადებიან ბელგიაში ფოსტის მიმოსვლა განახლდა.

ფინეთში თეთრი ტერორი გრძელდება.

საქართველოს დასწინათვის

უპირველესი საზრუნავი ქართველი ხალხისა დღევანდელს მეტის-მეტად აწეული საერთაშორისო პირობებში უნდა გამოიხატებოდეს მოპოვებულ თავისუფლების დაცვასა და შენარჩუნებაში.

რანაირადაც უნდა ჰხსნიდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების უახლოეს მიზნებს სხვა და სხვა პოლიტიკური გზებით, გულმოდგინე პოლიტიკური მეთვალყურისათვის ყოველივე იქვეს გარეშე ის გარემოება, რომ დიადმა აქტმა საქართველოს სუვერენიტეტის აღიარებისამ ერთსა და იმავეს გამოიხატა ჰოვანა ქართველ საზოგადოების ყველა წევრებში და თვითმყოფლობის ხელუხლებლობისათვის შეაკავშირა და შეაერთა სოციალური ურთიერთობაში მოპირდაპირენი და მოქიშპენი.

საერთაშორისო განწყობილების ცვალებადობაში ქართველობა ვერ ამოიკითხავს მისთვის საზიარო სიმპტომებს, რადგან იქვეს ამა თუ იმ შემთხვევაში კოალიციის გამარჯვების შედეგი ლოკალური აუცილებლობით დამინაგებულ შვირე ერთა თვითგამორკვევაში უნდა განსაზღვრებულყოფი.

ნაადრევეა და ამაო საქართველოს მოშურნეთა სიხარული და განვაში ახალი ძალის შემოჭრის გამო: საქართველოს ხალხი შეუშფოთებლად უტყუროს კულტურულ სახელმწიფოთა შორის ატეხელ ტიტანიურ შეჯიბრებას იმ იმედით, რომ არც ერთი ეგრობის სახელმწიფო არ იზიშფელს მსხვილის საქართველოს აღდგენის სახელმწიფოებრიობის დასამზადებლად.

იქ, შორეულს ეგრობაში, თუ ამერიკაში საქართველოს მოწინააღმდეგენი არ ეგულება. ჩვენს სახელმწიფოებრიობის უფლებას ქართველი ხალხის ურყევად და საბოლოო გარდაწყვეტილებასთან ერთად ნათლად აკრძადებს მრავალი საერთაშორისო მნიშვნელობის აქტები და დოკუმენტები და, როდესაც მთელი ქვეყნის ხალხისაგან შედგარი სასაგვმლოდ ეს შესაძლებელია აქტებზე ამტკიცებდებან.

საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ უკანასკნელ დრომდე დაუზოგველად და ყოველივე საშუალებით იბრძოდა დიდებულბელობის მიღრეკილებით უქიდურესობამდე გაყვნილი რუსეთი, როგორც რევოლუციის პირველ ხანაში, ასევე ეხლაც—ბოლო შევიკების გამგებლობისას; რუსობასთან ერთად ჩვენს რესპუბლიკას მედრად ეკვეთა სომხეთი და შნაკუტრუხის სახით და ეს ორი საქართველოს მტრობაში დამეგობრებული ხალხი დღესაც იმის ოცნებაშია, რომ საქართველოს ნანგრევებზე ალაგოს ძველი მთლიანი პოლიტიკური სხეული.

ამ ხალხის საფრთხე საქართველოს რესპუბლიკას არ ჩამოსცილება დღესაც. მოლატარენ თავისუფლად დამოწიან ჩვენი ქვეყნის კილით-კილიმდე და გარდა იმისა, რომ მცხოვრებლებს საქართველოს მმართველობის საწინააღმდეგოდ მოუწოდებენ, ავახაქური ამაქმელებითაც აუნაზღაურებლად აზარალებენ სახელმწიფოს. მტერს ჯოჯოხეთური გეგმა აქვს საქართველოს ტასანადგურებლად: საკმაოდ დამსტკიცდა შეთქმულების მომწყობი ორგანიზაციების გაცხოველებული მუშაობა საქართველოს ყველა კუთხეში და უმთავრესად დედა-ქალაქში. ვერაგებს განუზრახავთ ადვოკატონ და ეტყობს მისენ ყველაფერი, რაც კი ლის შესაძლებელია სახელმწიფოში მისი უტრადლება უმეტესად მიქცეუ-

ლია სახელმწიფო და სტრატეგიული მნიშვნელობის საგნებზე და მათი მოსპობით ლამობენ სასიკვდილო ლახვარი ჩასცენ თავისუფლად სახელმწიფოს... ასეთს შემადრწუნებელ ვაშს ქართველ ხალხს ევალება მეტი სიმტკიცე და შეკავშირებული მოქმედება! პოლიტიკური და სოციალური შემოქმედებიდან საქირთა განიდევნოს ყოველი მომენტი, რაც ქართველობის მთლიანი ინტერესს ეწინააღმდეგება და აფერხებს.

საქართველოს დამსწინებლების ენერჯია სახელმწიფოს გასაძლიერებლად უნდა ამუშავდეს. საქართველოს პარლამენტიდან არ უნდა გამოიღოს ისეთი კანონმდებლობითი აქტები, რომლებიც უთანხმოებასა და შუღლს შეიტანენ ქართველ ხალხში. მღვთმარობის სიმწვავე ნუ თუ დროებით მაინც ბრძანებლობით არ უნდა ითხოვდეს მთელი საქართველოს შვირეული ძალის გამონახვის თავისუფლების შესანარჩუნებლად!

სახელმწიფოს სათავეში პარლამენტი სდგას და სწორედ ამ უზენეს დაწესებულების ზრუნვას უნდა შეადგინდეს ქართველთა გაერთიანება მოზღვავებულ მტრის დასაძლევად!

საქართველოს თავისუფლების თავგამოდებით იცავს ქართველი ერის ყოველი წევრი: გლეხი, ვაჭარი, მუშა, ინტელიგენტი, სამღვდლოება, თავად-აზნაურობა... მთლიანსა და ძლიერს საქართველოს მხოლოდ იმ შემთხვევაში ეციხლავთ, უკეთუ ამ წრეთა გაერთიანებას შეეძლებთ დამოუკიდებლობის დასაცავად.

საქართველოს გაერთიანების და გაძლიერების იდეას უნდა ემსახურებოდეს გაუწრფელი და პატრიოტი ქართველი.

ამაშია სწორედ დამოუკიდებლობის ხსნა!

პვლავ საინგილოს შახსამ

საქართველოს სხეულს მოსწყდა თავი—საინგილო. აქედგან ეფინება საქართველოს შის ყოველდღიური სხივები. ეს არის ჩვენი აღმოსავლეთი და აქ დაწყდება შენეირი და მიდღარი კახეთი. აქ სამხრეთისკენ ბრუნდება კახეთზე აღმოსავლეთისკენ მომინარე ალაზანი. საინგილო ბუნებრივი განგრძობაა კახეთისა, მის მიწა-წყლისა, მავისა, მცენარეულობისა, პოეტუკისა, ადამიანის ერთფერ მოწყობილობისა, მის ერთნაირ ადამ—ჩვეულებისა. უკეთ ვთქვათ, საინგილო იგივე კახეთია, მისი განყოფილი ნაწილი. კახეთს ვერ წირმოადგენს ჩვენი კაცი უსაინგილოდ და საინგილოსაც უკახეთოდ. თვით ბუნებას უბრძანებია მათი იჯობაში.

საინგილოს ბოლოს რომ ილაზანი ჩაბრუნდება მტკვარში ჩასაქანებლად, მისკენ რკალით მოიწეეს დიდი კავკასიონი და იმდენად უახლოვდება ალაზანსა და მის აქეთს სიღნაღის მიმებს, რომ შუაში რჩება მხოლოდ 15-ილდე ვერსი მანძილი. აი ეს 15-ვერსიანი მანძილი არის საქართველოს აღმოსავლეთის მხრის შიგნა, და ამ შიგნაშია ჩაქცევა ლელ სისხლ-კობი და მერე ეგრის-ხევი. ამ მიჯნას იქით ერთხად სწყდება ამიერ-იბერიის (საქართველო—ადიარეთის) მსგავსება: აქეთ რომ აყრილი მცენარეულობა, იქით უდაბური უტყეო მშრალი და ცხელი ველებია, გადაშორებული გორაკები და ფერდობები.

საქირთ იყო თავიდანვე ამ 15-ვერსიან მიჯნაზე დაგვიყენებინა 40-ილდე გერმანელი და ზეთოდ ქართველი, რომ საინგილოც დღეს ჩვენი ყოფი-

ლიყო. თურქებმა ცარიელი მიჯნა რომ ნახეს, ნუხის მხრიდან გამოსწიეს, დაიპირეს, კახი, ზაქათალა, ბელაქანი, ალაზნის ბორნები, შეპკრეს ყველა გზები და კაწები, ქვეყანას დაწინაშეს ცალკე გუბერნატორი და აუქრძალეს ხალხს იქიდან რისამე გამოტანა „საზღვარ-გარე“ და „უცხო“ ქვეყანა საქართველოს. სამაგიეროდ, როგორც გვატყობინებენ, იქიდანგან გაიტანესო ნილონი ფუთამდე ბრინჯი. ათას ურზობით ხობზალი, ათის-თავი ყოველ მოსავლისა, კვლავ ხარკი და სხვ.

ასე, საქართველოს ღვიძლი კუთხე, ერთად ერთი უხვად მომცემი ბრინჯისა, აბრუნებულს, ხილისა, მონტენულისა, ღვინისა და სხვ. დაგვიკარგა მხოლოდ იმით, რომ ჩვენი დაზარალები დროით ვერ ჩავაყენეთ საინგილოს მიჯნაზე.

ინგილოლებს-კი კისრები დაბრკოლით ჩვენვეს ტყერაში. ასეთი შეუნდობელი დაუდევრობა მოგვივიდა მაშინ, როდესაც საქმე შეეხებოდა არა-თუ მარტო ეკონომიურად დიდ მნიშვნელობის კუთხის ბელს, არამედ სტრატეგიულადც თავლსაინოს: ვისაც უქურია საინგილო, მის პატრონობაში შეეება დანაშთენი კახეთიც; მოგესხნებათ, საინგილოში ლეგეონი რომ ჩამოსასლდენ, მის შემდეგ უკულმა დატრიალდა ჩარბი საქართველოსა.

უნდა კაცმა თვითონ ნახოს აქაურობა, და მაშინ დარწმუნდებან, რომ საქართველო უსაინგილოდ ვერ იცხოვრებს: ზურგით მას აყულია დაღი-სტახი, და იქიდან ჩამოსულ ლეგეონმა ქარბელაქნელეთთან ერთად რა უყვის საქართველოს, ჩვენში ყველას უნდა ახსოვდეს. ეს სტრატეგიულს თვალსაზრისით, ახლა რა უაღმატებულს მნიშვნელობასა საინგილო შემო-ჩამოთავრობა ნაწარმოებებითა და მრავალგვარ ლითონ-მადნეულობით. კველი ამის ეკონომიური მნიშვნელობა ისე დიდია, რომ მისი განრაცხვა თითქმის შეუძლებელია ეხლავე.

რახან დროით მიჯნაზე ვერ დავდებთ და თქმისა არ იყოს, „უპატრონო საყდარი“ სხებმა დაიპირეს, ჩვენ დავგროვებთ, ერთადერთი გზა: შეგობრულად გამოველაპარაკოდ თვით იმ „საყდარის“ პატრონებს, დავბრდეთ ადმინისტრატული თუ კულტურული თვით მართებლობაც და ასრე შემოუფრთოთ ჩვენს რესპუბლიკას.

საინგილოს მისადგვარი საქართველოა და უამისოდ ის ვერ გასძლებს. დროით მოვკიდოთ ხელი საქმეს, რომ აქაც არ დაგვასწროს სხვამ და საუკუნოდ არ დაეკარგოთ ყოველმხრივ შემეული ქვეყანა.

დიდ არე-დარგვას იწვევს. იქნება ისეთი მდგომარეობა, რომ ხშირად არ იცი: ვინ არის ამა თუ იმ საქმის გამყოფელი და ვინ უნდა აგოს პასუხი უნაღეს მთავრობის წინაშე. თითონ აკტიულ ორგანიზაციისთვისაც მანებელია ასეთი ჩარევა: გარდა იმისა, რომ მის ექსრება მასუსისგებლობა ისეთ საქმეში, რომელიც მის მოვალეობას არ შეადგენს და ხალხის თვალში სახელი უტყდება. პარტიული ორგანიზაციისთვის საქმეში ჩარევათ შორდება თავის ნამდვილ დანიშნულებას.

ფუნქციების არევა იმდენად ძლიერია, რომ ხშირად თითონ ადმინისტრაცია ერევა ისეთ საქმეში, რაც სრულყოფილ ორგანიზაციის მოვალეობას, ასეთია კოშისრების და მილიციონერების ყოვე ქცევა არჩვენებში. ისინი ხშირად გამოდიან პარტიული ორგანიზაციის როლში და ხალხს ურჩევენ ამა თუ იმ პარტიას მისკენ ხმა. ამავე დროს თავის პირდაპირ მოვალეობას უყურადღებოდ სტოგებენ. ეს არ არის დასაშვები.

შესაძლებელია, ვინმემ მივიციოთ მის გერმანიის ამბებზე. იქ უკვე მოიწყო საბჭოები, რომლებიც ქვეყნის მართვა გამგეობის საქმეში ერევიან.

მაგრამ რაც ბუნებრივი და ღასაშვებია გერმანიისთვის, ის უაღმატებელია ჩვენში. ჩვენ უკვე განვლეთ ის ხანა, რომელსაც გერმანია განიცდის. იქ სწორედ ახლა დაიწყო ეს პროცესი ნგრევისა, რომელიც ჩვენში უკვე დათავებულია.

ამიტომ, ჩვენ უნდა განვიკრიბოთ ჩვენი საკუთარი გზით სვლა. ეს გზა კი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ დემოკრატიული წყობილება უნდა შექმნათ, ახალი სახელმწიფო ამატრიატი უნდა გავამაგროთ და არა-ფერი ისე არ ავანებს ამ ხალხს ყოველივეს განმტკიცებას, როგორც ფუნქციების არევა და მრავალი მთავრობიანობა.

დროა შევიგნოთ, რომ ყველამ მხოლოდ თავისი საქმე უნდა აკეთოს: კანონმდებელია ჩვენი დემოკრატიული პარლამენტი, კანონების ამსრულებელია მთავრობა, ხოლო პოლტიკურთ ორგანიზაციები ეწვიან პროგანდა-აგიტაციას და შესაფერო გავლენას ახდენენ არა პირდაპირ.

პირდაპირი ჩარევა საქმეში კი ქმნის არე-დარგვას და ხელს უწყობს ანარქიას. ჩვენ დღეი ხანია ამას ვამბობდით. და სწორედ ამის მხილვისთვის არ ზოგავდნენ ჩვენი ს. დ. ებიტერებს: გვიწოდებდნენ შავრამელებს და ერეკტიონეებს, თუმცა ჩვენ, როგორც ეხლაც თუ „ერთობა“ აღიარებს, გულმოდგინეობით სახელმწიფოებრივი უფლებით.

დღეს თითქო საყვედურების დრო არ არის, ჩვენთვის უფრო ძვირფასი იქნება, თუ ს. დ. განაგრძობენ თავიანთ შეტეობებს გასწორებას და ხილთის აადღენენ რესპუბლიკას, გასასწორებელი კი კიდევ ბევრი დარჩათ ს. დემოკრატებს. ადმინისტრაციაში თავიანთი კაცების ყოლით და პარტიული ორგანიზაციების დახმარებით ს. დ. ძალიან ბევრი ისარგებლეს, რომ ნაჩევნ ხერხებს ასე მალე გადაეჩინონ, განსაკუთრებით როცა საქართველოს დამფუძნებელი კრება კარგებდა მომდვარი. მაგრამ ვინ იცის, იქნებ სახელმწიფოებრივად შეგნებამ მართლად გაიმარჯვოს და ს. დემოკრატებიც მორჯულდნენ და თავიანთი სიტყვა საქმეთ აქციონ, ჩვენ მაინც ვინდა დავიჯუროთ, რომ ეს ასე იქნება...

სახელმწიფო თაატრი
პარასკევს, გიორგობისთვის 22-ს
ქართულ დრამატულ საზოგადოების დახის მიერ წარმოდგენილი იქნება
გეორგ, უცვლილი ანსამბლით
სარწმუნოება
რეჟისორი: გ. ჯაბაღარი. ადმინისტრატორი: მის. ხერხეულიძე. (3-2)

სახელმწიფო თაატრი
საოკარო დასი ევლახოვისა
უთ შაბათს, 21 გიორგობისთვის ტ. ი. საბანევიის, მ. ა. ალექსის, ა. მ. კობაშინის, ვ. ა. ვროსკის, ვ. ა. ნიკოლსკის და ლ. ი. ისტეკანის წინაწილით: წარმოდგენილი იქნება:
გუგენოტები
ოპერა 4 მოქმ., მუსიკა მიერბერგისა.
ფახები შესამჩნევად დაწეულია. დახაწყიხი ხალ. 8 ხაათხ.

ქართულ მსახირობთა საბროუასიყო პავუიკრის საბჭო
ამით აცხადებს, რომ
კვირას, გიორგობისთვის 24-ს, დილის 11 ს.
ქართულ კლუბის დარბაზში დანიშნულია კავშირის წევრთა
საგანგებო კრება
საკითხები: წლევიანდელი სეზონი და მასთან კავშირის დამოკიდებულება.
4-66-2

საქართველო, გიორგობისთვის 21-ს
ჩვენი პარტიის
ყველა ახალგაზდათ
საერთო კრება დანიშნული.
(1-1)

